



**ISFED**

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება

## 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში  
(5-20 აგვისტო)

29 აგვისტო, 2013

თბილისი

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## I. სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო კამპანია შედარებით გააქტიურდა. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით (20 ივლისი - 5 აგვისტო), პარტიების მიერ ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა გაიზარდა.<sup>1</sup> წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, ძალადობრივ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებზე განხორციელებული მუქარა-ზეწოლის სამი შემთხვევა. ორგანიზაციამ, ასევე, გამოავლინა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ერთი, ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნო მიზნებითვის გამოყენების ორი ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ორმა მედია საშუალებამ ხელისუფლების მხრიდან მათ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე გააკეთეს განცხადებები. პარალელურად, პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, დაიხურა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული 2 მედია საშუალება.

ცესკოს თავმჯდომარემ გადადგომის თაობაზე მოულოდნელი განცხადება გააკეთა. არასამთავრობო სექტორმა პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარის ვაკანური ადგილის დასაკავებლად საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტმა კანდიდატურასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობა განაცხადა.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცესკოში საარჩევნო რეგისტრაცია გაიარა როგორც მმართველი კოალიციის, ასევე საპარლამენტო უცირესობების საპრეზიდენტო კანდიდატებმა.<sup>3</sup> შესაბამისად, მათ მიმართ ოფიციალურად ამოქმედა საარჩევნო კოდექსით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის დადგენილი რეგულაციები და შეზღუდვები.

საერთო ჯამში, კამპანია მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. საარჩევნო დარღვევები, ამ დროისთვის, ძირითადად, ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლება და მასიურ ხასიათს არ ატარებს.

<sup>1</sup> იხილეთ „სამართლიანი არჩევნების“ მეორე შუალედური ანგარიში: <http://www.isfed.ge/main/422/geo/>

<sup>2</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანდიდატურასთან დაკავშირებით: <http://president.gov.ge/PressOffice/News/Releases?p=8424&i=1>

<sup>3</sup> იხ. 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის განცხადებით წარდგენილი კანდიდატები: [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=231&info\\_id=12257](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=231&info_id=12257);

## II. ძირითადი დასკვნები

- საანგარიშო პერიოდი, წინა პერიოდთან განსხვავებით, შედარებით მშვიდ გარემოში წარიმართა. საპრეზიდენტო კანდიდატები გააქტიურდნენ და საჯარო შეხვედრებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა<sup>4</sup> საკუთარ თანამშრომლებს მოუწოდეს, თავი შეიკავონ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისაგან და მათ შესაბამისი ინსტრუქცია მისცეს.<sup>5</sup>
- საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ ტენდენციების შორის განსაკუთრებით პრობლემატურად უნდა შეფასდეს მედია გარემოსთან დაკავშირებული რიგი პრობლემები. შესაძლებელია ითქვას, რომ საერთო ფონი მედიის თვალსაზრისით არის თავისუფალი, თუმცა, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე მედიასაშუალებას სხვადასხვა მიზეზთა გამო დაბრკოლებები შეექმნათ. რეგიონულმა მედიასაშუალებამ, „გურიის მოამბემ“ მუნიციპალიტეტის გამგებელს ბრალი ზეწოლაში დასდო, ხოლო ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთმა მფლობელმა, მამუკა ღლონტმა ხელისუფლების გარკვეული ჯგუფის მხრიდან პოლიტიკური ხასიათის ანგარიშსწორებაზე დაიწყო საუბარი. პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებისთვის მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება მისი ოჯახის კუთვნილი ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9“-ის დახურვის შესახებ.<sup>6</sup>
- 2013 წლის 19 აგვისტოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,<sup>7</sup> პრეზიდენტი ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელებას გეგმავს. შეწყალების სავარაუდო სუბიექტთა რაოდენობის გათვალისწინებით, პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი ხასიათის უფლებამოსილებების განხორციელება შესაძლოა ქმნიდეს განცდას, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებას, რაც წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა გულის მოგების მიზნით ხორციელდება.<sup>8</sup>
- საანგარიშო პერიოდში თანამდებობიდან მოულოდნელად გადადგა ცესკოს თავმჯდომარე - ზურაბ ხარატიშვილი. მისი განცხადებით, გადადგომის მიზეზი მისი პოლიტიკური მიზნებია და ის აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას გეგმავს<sup>9</sup>. ცესკოს თავმჯდომარის გადადგომისთანავე დღის წესრიგში დადგა ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი. საარჩევნო კანონმდებლობამ და არსებულმა პოლიტიკურმა ვითარების შექმნა გარემოება, როცა ახალი ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში

<sup>4</sup> იხ. კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ცესკოში ოფიციალური წარმომადგენლის ირინა იმერლიშვილის განცხადება <http://gartli.ge/web/14066>.

<sup>5</sup> იხ. ფინანსთა სამინისტროს მიმართვა უწყების თანამშრომელთა მიმართ: <http://www.tabula.ge/ge/story/73887-xaduri-finansta-saministros-tanamshromlebs-mimartavs>.

<sup>6</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IV თავში;

<sup>7</sup> იხ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება: <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News?p=8414&i=1>

<sup>8</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VII თავში;

<sup>9</sup> იხ. ინფორმაცია ხარატიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით: <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/115825/>

არასამთავრობო სექტორი და ორი პოლიტიკური ძალა მონაწილეობს პრეზიდენტისა და ცესკოს მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების წევრების სახით, რაც მისასაღმებელი მოვლენაა. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ამ ვითარებაში არჩევის შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარე ყველა დაინტერესებული მხარის მხრიდან უფრო მაღალი ნდობით ისარგებლებს, რასაც საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. არასამთავრობო სექტორმა პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარის ვაკანური ადგილის დასაკავებლად საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. „სამართლიანი არჩევნები“, ასევე, მიესალმება პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს<sup>10</sup> არასამთავრობო სექტორის მიერ წარდგენილ კანდიდატურასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის თაობაზე.<sup>11</sup>

- თანამდებობის დატოვებამდე ცესკოს თავმჯდომარე გამოეხატა „სამართლიანი არჩევნების“ მეორე შუალეურ ანგარიშში გამოქვეყნებულ მოსაზრებას ორმაგი მოქალაქის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ, რითაც „სამართლიანი არჩევნები“ არ ეთანხმებოდა ცესკოს პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.<sup>12</sup> ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის განცხადება<sup>13</sup> იყო ხისტი, დაუსაბუთებელი და არგუმენტირებული მსჯელობის ნაცვლად, მიზნად ისახავდა სადამკვირებლო ორგანიზაციის დისკრედიტაციას. მიგვაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის განცხადება არაკორექტულია და ხელს არ უწყობს სადამკვირებლო ორგანიზაციისა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის თანამშრომლური გარემოს ჩამოყალიბებას.<sup>14</sup>
- პრემიერ-მინისტრმა შუამთობის დღესასწაული მიულოცა ადგილობრივ მოსახლეობას. დღესასწაულის აღნიშვნის დროს ახლად დაქორწინებულ გუნდალამეების ოჯახს საჩუქრად ბრიალიანტის ბეჭედი გადასცა. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, აღნიშნული ინციდენტი შეიცავს ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს. ორგანიზაციამ მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას შეისწავლოს აღნიშნული ფაქტი და მოახდინოს მასზე სამართლებრივი<sup>15</sup> რეაგირება<sup>16</sup>.
- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მუქარის -ზეწოლის სამი შემთხვევა:
  - i. „სამართლიანი არჩევნებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფლის რწმუნებულებსა და მათ თანაშემწეებს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვება მოსთხოვა. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, მუნიციპალიტეტის

<sup>10</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით: <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News?p=8424&i=1>

<sup>11</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VIII თავში;

<sup>12</sup> იხ: სამართლიანი არჩევნების პოზიცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე: <http://www.isfed.ge/main/423/geo/>

<sup>13</sup> იხ. ცესკოს თავმჯდომარის განცხადება: [http://www.cesko.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=12755](http://www.cesko.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=12755)

<sup>14</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VIII თავში;

<sup>15</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის V თავში;

<sup>16</sup> იხ. სამართლიანი არჩევნების განცხადება შუამთობის დღესასწაულზე დაფიქსირებული ინციდენტის შესახებ. <http://www.isfed.ge/main/425/geo/>

გამგებლის მიერ რწმუნებულებისთვის წაყენებული მოთხოვნა უკანონოა და ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.<sup>17</sup>

ii. 2013 წლის 19-20 აგვისოს კასპის საკრებულოს 20-მდე დეპუტატი დაიბარეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რეგიონულ განყოფილებაში და საკრებულოს თავჯდომარის ავთანდილ გოგიაშვილის არჩევასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოსთხოვეს. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა კასპის გამგებელმაც. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, საკრებულოს წევრების მიმართ განხორციელებული აღნიშნული ფაქტი შესაძლოა ზეწოლად შეფასდეს.<sup>18</sup>

iii. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ახმეტის საკრებულოს წევრებზე ზეწოლა ხორციელდება. მუნიციპალიტეტში გავრცელებული ინფორმაციით, საკრებულოს დეპუტატები შეხვედრაზე დაიბარა მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ზვიადაურმა. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბაიდაური. მათ აიძულებდნენ 2013 წლის 23 აგვისტოს დაგეგმილ საკრებულოს სხდომაზე დაეყენებინათ საკრებულოს თავჯდომარის გადაყენების საკითხი.<sup>19</sup>

- ამ პერიოდში, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე „სამართლიანი არჩევნების“ მიერ რამდენიმე პრობლემატური საკითხი დაისვა, რაზეც კომისიას კონკრეტული რეკომენდაციები ამ დროისთვის არ შეუძლებია.<sup>20</sup>

<sup>17</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის V თავში;

<sup>18</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის V თავში;

<sup>19</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის V თავში;

<sup>20</sup> იხ. დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IX თავში;

### III. რეკომენდაციები

სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს:

- **ხელისუფლებას** – მაქსიმალურად ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო პერიოდში მედიასაშუალებების თავისუფალ და დაუბრკოლებელ საქმიანობას;
- **ცესკოს პარტიულ წევრებს მმართველი კოალიციიდან** - პრეზიდენტის მხრიდან მიუკერძოებელი და პროფესიუნალი კანდიდატების დასახელების შემთხვევაში მხარი მხარი დაუჭირონ წარდგენილ კანდიდატურებს.
- **ცესკოს** - მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სადამკვირვებლო ორგანიზაციისა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის კონსტრუქციული და თანამშრომლობაზე ორიენტირებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას;
- **სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას** - წევრებმა იმსჯელონ და შეისწავლონ „სამართლიანი არჩევნების“ მიერ კომისიის სხდომაზე დაყენებული საკითხები და შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები.
- **სახელმწიფო დაწესებულებებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს** - დროულად უზრუნველყონ მათ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების ინფორმირება და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების გაცნობა წინასაარჩევნო კამპანია-აგიტაციაში მონაწილეობის თაობაზე;
- **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს** - თავი შეიკავონ საკრებულოს წევრებზე ნებისმიერი ხასიათის ზეწოლისგან;
- **სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას** - შეისწავლონ „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებში დაფიქსირებული მათ კომპეტენცია მიკუთვნებული საკითხები და გააკეთონ შესაბამისი შეფასებები.

#### IV. მედია გარემო

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, მედია გარემო თავისუფალია, თუმცა ჯერ კიდევ რჩება გარკვეული პრობლემები. ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე მედიასაშუალებების საქმიანობის ხელშეშლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ტელეკომპანია „მაესტროსა“ და „გურიის მოამბის“ ხელმძღვანელობამ საჯაროდ დაიწყეს საუბარი ხელისულების მხრიდან პოლიტიკური ხასიათის ზეწოლის ფაქტებზე, ხოლო მედიასაშუალება „მე-9 არხმა“ და „ინფო 9-მ“ შეაჩერეს მუშაობა.

იხილეთ თითოეული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია.

##### 4.1. გაზეთი „გურიის მოამბე“

2013 წლის 16 აგვისტოს გაზეთ „გურიის მოამბის“ რედაქტორის მიერ გავრცელებული განცხადებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაზეთის ორ ოფისს უზურფრუქტის ხელშეკრულება შეუწყვიტა, რის გამოც მედია ორგანიზაცია იძულებულია ერთი თვეში ოფისი დატოვოს. „გურიის მოამბის“ რედაქტორი საკრებულოს ამ გადაწყვეტილებას ზეწოლად აფასებს და ხელშეკრულების შეწყვეტას გამგებელთან დაკავშირებული კრიტიკული მასალების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას უკავშირებს.<sup>21</sup>

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის 16 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაზეთ „გურიის მოამბეს“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც მედია საშუალება გაფრთხილებულ იქნა მუნიციპალიტეტსა და „გურიის მოამბეს“ შორის დადებული ხელშეკრულების სახელმწიფოებრივი საჭიროებისთვის ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და გაზეთ „გურიის მოამბეს“ შორის 2012 წლის 12 ივლისს გაფორმებული სასყიდლიანი უზურფრუქტის ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, მესაკუთრეს, ამ შემთხვევაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, აქვს უფლება **სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისთვის განსაკუთრებულ შემთხვევაში** გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მიუხედავად იმისა, რომ გურიის მინიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 12 ივლისს გაფორმებული უზურფრუქტის ხელშეკრულების ფორმალური პირობები არ დარღვეულა და გაზეთი „გურიის მოამბე“ გაფრთხილებულ იქნა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გათვალისწინებული წესით, საკრებულოს ამ გაფრთხილებიდან ნათლად არ ჩანს, რა განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. ერთადერთი, რაც მედია საშუალებისთვის გაგზავნილი ოფიციალური გაფრთხილებიდან იკვეთება არის ის, რომ საკრებულოს ამ ტერიტორიაზე სურს ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების განთავსება.

<sup>21</sup> იხ. მედიის განვითარების ფონდის განცხადება გაზეთ „გურიის მოამბესთან“ დაკავშირებით: <http://www.mdffgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=162>

გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი წინსაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების საქმიანობის შეზღუდვას ეხება, „სამართლიანი არჩევნებს“ მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საკრებულომ წარმოადგინოს დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, თუ რა განსაკუთრებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შეუწყვიტა „გურიის მოამბეს“ უზურფუქტის ხელშეკრულება.

#### 4.2. ტელეკომპანია „მაესტრო“

2013 წლის 16 აგვისტოს ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებისთვის მიცემულ სატელეფონო კომენტარში მამუკა ღლონტი ტელეკომპანიაზე ხელისუფლების ერთი ფრთის მიერ პოლიტიკური ზეწოლის შესახებ საუბრობს. სატელევიზიო ინტერვიუში იგი აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით ეს ხდება მას შემდეგ, რაც ეს ნაწილი მიხვდა, რომ „მაესტრო“ არ დაემორჩილება არანაირ მოთხოვნებს ხელისუფლებიდან და იქნება დამოუკიდებელი მოთამაშე, ისევე როგორც იყო ადრეც. ამის შემდეგ ეს ადამიანები სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ ზიანი მოაყენონ „მაესტროს“, რაც, ბოლოს, უკვე ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობაში გადაიზარდა და ამის შესახებ განცხადებას ჩვენ რამდენიმე ხანში გავაკეთებთ.“<sup>22</sup>

საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რასაც მაესტროს დამფუძნებლებიც ადასტურებენ, ტელევიზია დატოვა რამდენიმე ჟურნალისტმა, არხის თოქ-შოუების მთავარმა პროდიუსერმა, საინფორმაციოს მთავარმა რედაქტორმა და პოლიტიკური გამოშვების თითქმის ყველა პროდიუსერმა. ტელეკომპანია „მაესტროს“ თოქ-შოუ „არგუმენტების ავტორი და წარმცვანი თეა სიჭინავა, რომელიც ასევე ტელეკომპანიის დატოვებას და სხვა სატელევიზიო არხზე გადასვლას გეგმავს, არხიდან წასვლას პოლიტიკურ გავლენას არ უკავშირებს. იგი ასევე უარყოფს არხის მიმართ პოლიტიკური ხასიათის ზეწოლის არსებობას.

#### 4.3. ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფრო 9“ დახურვა

2012 წლის 30 აპრილიდან ტელეკომპანია „მე-9 არხმა“<sup>23</sup> მაუწყებლობა დაიწყო. მედიასაშუალება პრემიერ-მინისტრის ოჯახის მფლობელობაში იმყოფებოდა. ტელეკომპანიის მიერ მაუწყებლობის დაწყებიდან თითქმის ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ, 2013 წლის 19 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანიის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის მოულოდნელად მიიღო. მისი განცხადებით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. ამ ეტაპზე კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას,

<sup>22</sup> იხ. ცვლილებები მაესტროზე: <http://www.radiotavisupleba.ge/content/changes-at-maestro-tv/25078153.html>

<sup>23</sup> ტელეკომპანია „მე-9 არხი“ დაარსდა 1998 წელს, მისი მფლობელი ბიძინა ივანიშვილი იყო. ტელეკომპანია 2003 წელს წელს უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. 2012 წლის 30 აპრილს განახლდა ტელეკომპანია და იგი ამჯერად პრემიერ-მინისტრის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაში არსებობდა.



ასევე, ამომრჩევთა დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რათა მათ ექვი არ შეიტანონ არჩევნების სამართლიანობაში. პრემიერ-მინისტრის თქმით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად კი დადგა იმის აუცილებლობა, რომ ობიექტურად გამუქდეს საარჩევნო პროცესები და ხელისუფლებამ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს შეუქმნას თანაბარი პირობები. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოხდეს ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9-ის“ გასხვისება, რათა კოალიციის ლიდერის მფლობელობაში არსებული მედიასაშუალების გამოყენებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ კოალიციის მიერ არჩევნებში წარმოდგენილი კანდიდატები. პრემიერ-მინისტრსა და მის ოჯახს ტელეკომპანიის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჰქონდა სურვილი გაეხვისება ტელეკომპანია, თუმცა კომპანიის რეალური შემძენი აქამდე არ გამოჩენილა.<sup>24</sup>

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თუ 19 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე კომპანიას მყიდველი არ გამოუჩნდება, „მე-9 არხი“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“ 2013 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტს მაუწყებლობას.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ არაერთგვარი შეფასებები გამოიწვია. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის აღნიშნული გადაწყვეტილება, ერთის მხრივ, მისასაღმებელია, ვინაიდან პრემიერ მინისტრმა საკუთარი ნებით განაცხადა უარი შესაძლებლობაზე წინასაარჩევნოდ მედია რესურსი მმართველი კოალიციის კანდიდატის სასარგებლოდ გამოეყენებინა. სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, წინასაარჩევნოდ ტელეკომპანია მე-9 არხზე შეიმჩნეოდა ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის უარყოფითად წარმოჩენისა და პრემიერ-მინისტრის დადებითად წარმოჩენის ტენდენცია.<sup>25</sup>

მეორეს მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში სატელევიზიო არხის დახურვა, სადაც თოქშოებსა და საინფორმაციო გადაცემებში პოლიტიკური ხასიათის დისკუსიები სისტემატიურად იმართებოდა, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ინფორმირებისა და გააქტიურებისთვის განსაკუთრებით ნეგატიური მოვლენაა.

<sup>24</sup> იხ. პრემიერ-მინისტრის განცხადება: <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/115848/>

<sup>25</sup> იხ. სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: [http://mediamonitor.ge/files/CRRC%20MM%20Report\\_16%20June-16%20July\\_2013\\_FINAL.pdf](http://mediamonitor.ge/files/CRRC%20MM%20Report_16%20June-16%20July_2013_FINAL.pdf)

## V. ამომრჩევლის მოსყიდვა

2013 წლის 11 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პრემიერ მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა “შუამთობა - 2013” დღესასწაულის აღვნიშვნის დროს ახლად დაქორწინებულ გუნდალამეების ოჯახს საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი გადასცა. საჩუქრის გადაცემის ფაქტი გაშუქდა “აჭარის ტელევიზიის” საინფორმაციო გადაცემაში და, ასევე, ასახულია აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ ფოტომასალაში.<sup>26</sup>

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ ამომრჩევლისათვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი შესაძლოა შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რაც დამოკიდებულია საჩუქრის ღირებულებაზე.

თუ პრემიერ მინისტრის მიერ გადაცემული საჩუქარი არ აღემატება 100 ლარს, მაშინ შესაძლოა სახეზე გვექნდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კერძოდ:

“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” ორგანული კანონის 25<sup>2</sup> მუხლის თანახმად, “პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა”. ამავე კანონის 34<sup>2</sup> მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი სანქციის თანახმად, საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის, იურიდიული პირის დაჯარიმებას შესაბამისი ქონების (მომსახურების) ან შესაბამისი გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით.

თუ პრემიერ მინისტრის მიერ გადაცემული საჩუქრის ღირებულება აღემატება 100 ლარს, მისი ქმედება შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის თანახმად, „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ამომრჩევლისათვის ქონების გადაცემა ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.“

ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის სამართალდარღვევა უნდა დაადასტუროს სასამართლომ.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში ითვალისწინებს როგორც საჩუქრის გადამცემი, ასევე, საჩუქრის მიმღები

<sup>26</sup> იხ. <http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=adjara&seekTime=11-08-2013%2022:32>

მოქალაქეების პასუხისმგებლობას. „სამართლიანი არჩევნები“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს რეკომენდაციით მიმართავდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების მოთხოვნით საჩუქრის მიმღები პირების შემთხვევაში, თუმცა, ინტერფრაქციულ ჯგუფს აღნიშნული საკითხი არ გაუთვალისწინებია.

## 5.1. მუქარა-ზეწოლის ფაქტები ასპინძაში

2013 წლის 2 აგვისტოს „სამართლიანი არჩევნებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამართულ თათბირზე გამგებელმა სოფლის რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობების დატოვება მოსთხოვა.

როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის ომორა-იდუმალას რწმუნებულმა „სამართლიანი არჩევნებთან“ საუბარში განაცხადა, გამგებელმა, ლევან ცაბაძემ და მისმა მოადგილემ, ალექსანდრე პაპაშვილმა, რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს განუცხადეს, რომ მათ განცხადება უნდა დაეწერათ გათავისუფლების თხოვნით, რის სანაცვლოდაც მომდევნო 3 თვის განმავლობაში ყველას მოვალეობის შემსრულებლად დანიშნავდა, ხოლო 3 თვის შემდეგ მათი სასმასხურში დარჩენა არჩევნებზე მათი მუშაობის გათვალისწინებით გადაწყდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ თავისი ნებით არ დატოვებდნენ დაკავებულ პოზიციებს, მათ მიმართ იძულების სხვა ხერხებს გამოიყენებდნენ.

„სამართლიანი არჩევნებთან“ საუბარში ასპინძის გამგებელმა, ლევან ცაბაძემ უარყო მუქარის ფაქტი, თუმცა დაადასტურა, რომ რწმუნებულებს თანამდებობის დატოვების თაობაზე განცხადების დაწერა და დროებით მოვალეობის შემსრულებლად დარჩენა მოსთხოვა. გამგებელი მოთხოვნას სოფლის მაცხოვრებლების სურვილით ხსნის. მისი განცხადებით, სოფლის მაცხოვრებლები უკმაყოფილოები არიან რწმუნებულების მუშაობით და ის რწმუნებული, რომელიც არ დატოვებს თანამდებობას, „სოფლის წინააღმდეგ წავა“.

თათბირის შემდეგ, თანამდებობა რწმუნებულების და მათი თანაშემწეების უმრავლესობამ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს იმ იმედით, რომ მომდევნო 3 თვე მოვალეობის შემსრულებლად დარჩებოდნენ, თუმცა, 2013 წლის 19 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ გამგებელმა ლევან ცაბაძემ ტერიტორიულ ერთეულებში გათავისუფლებულ პირთა ნაცვლად ახალი რწმუნებულები დანიშნა<sup>27</sup>.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ რწმუნებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნა, საკუთარი ნებით დაწერონ განცხადებები სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით, უკანონოა და ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს. ამასთან, წინასაარჩევნო პერიოდში სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა, ან ამ მიზნით რაიმე ტიპის ზეწოლა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება წინასაარჩევნო კამპანიის

<sup>27</sup> აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 14 აგვისტოს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო საკრებულოს დადგენილება გამგებლის დანიშვნასთან დაკავშირებით, ასევე მას ედავებიან უმაღლესი განათლების დიპლომის გაყალბებაში. აღნიშნულ საქმეს იძიებს მთავარი პროკურატურა.

მიმდინარეობის შეფასებაზე. ამ პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას წინასაარჩევნო პროცესის მნიშვნელობის გააზრება. ამასთან, გამგებლის ქმედებაში - იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. კერძოდ, 2013 წლის 6 მარტს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე, წარმოადგენს დანაშაულს<sup>28</sup>.

## 5.2. ზეწოლის ფაქტები კასპში

2013 წლის 19-20 აგვისოს კასპის საკრებულოს 20-მდე დეპუტატი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რეგიონულ განყოფილებაში დაიბარეს და საკრებულოს თავჯდომარის, ავთანდილ გოგნიაშვილის არჩევასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოსთხოვეს. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა კასპის გამგებელმაც. იგი ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას პრემიერ-მინისტრისთვის გეგმავს. საკრებულოს წევრები განმარტებით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ მოხდა წევრების გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რა აზრის იყვნენ ისინი საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატის, ავთანდილი გოგნიაშვილთან დაკავშირებით და დაუჭერდნენ თუ არა ისინი მხარს ამ კანდიდატის არჩევის ფაქტს.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რეგიონული განყოფილების მიერ განხორციელებული ფაქტი შესაძლებელია შეფასდეს საკრებულოს წევრებზე ზეწოლად, რაც უკანონოა და არღვევს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

## 5.3. ზეწოლის ფაქტი ახმეტაში

2013 წლის 22 აგვისტოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 დეპუტატმა განცხადებით მიმართა საკრებულოს და მოითხოვა საკრებულოს თავჯდომარის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა მომდევნო დღეს დანიშნულ სხდომაზე. ბიუროს სხდომაზე დამსწრე 7 დეპუტატიდან აღნიშნული საკითხის განხილვას მხარი ორმა დეპუტატმა დაუჭირა. ბიუროს სხდომას განცხადებაზე ხელმომწერი ორი დეპუტატიც ესწრებოდა, თუმცა საკითხის განხილვას მხარი არც მათ დაუჭირეს.

23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დასრულებისთანავე 14 დეპუტატმა კვლავ შეიტანა განცხადება და მოითხოვა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხზე კენჭისყრის ჩატარება განხილვის გარეშე.

<sup>28</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი.

26 აგვისტოს საკრებულოში ახალი განცხადება შევიდა იმავე მოთხოვნით, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ ახმეტის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა წარადგინა, თუმცა აღნიშნული განცხადება დეპუტატებმა უკან გამოითხოვეს.

საკრებულოს სხდომის შემდეგ 12 დეპუტატის ხელმოწერით ახალი განცხადება დარეგისტრირდა. დეპუტატებმა ამჯერად საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება, ახალი თავმჯდომარის არჩევა და რიგგარეშე სხდომის 2 სექტემბერს მოწვევა მოითხოვეს.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ საკრებულოს წევრებზე ზეწოლა ხორციელდება. მუნიციპალიტეტში გავრცელებული ინფორმაციით, საკრებულოს დეპუტატები შეხვედრაზე დაიბარა მაჟორიტარმა დეპუტატმა, ზურაბ ზვიადაურმა. შეხვედრაზე, ასევე, იმყოფებოდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბაიდაური. აღსანიშნავია ის, რომ ღია დაპირისპირება საკრებულოსა და გამგეობას შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც საკრებულომ კონკურსში გამარჯვების მიუხედავად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბაიდაური არ დაამტკიცა გამგებლად, ვინაიდან ბექა ბაიდაურის სახელზე გაცემული ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება – გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

თავად დეპუტატები პირად საუბრებში უარყოფენ მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრისა და ზეწოლის ფაქტს, თუმცა მათი არათანმიმდევრული ქმედება გარკვეულ ეჭვებს აჩენს. დეპუტატები ასევე უარს აცხადებენ დაასაბუთონ, თუ რა მიზეზით ითხოვენ საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას.

„სამართლიანი არჩევნები“ უარყოფითად აფასებს საკრებულოს წევრებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებს და მოუწოდებს შესაბამის პირებს თავი შეიკავონ მსგავსი სახის ქმედებებისგან.

## VI. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

### 6.1 პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ფართომასშტაბიანი შეწყალება

2013 წლის 19 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გააკეთა, რომლის თანახმად, „...საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელმთხედო პირებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით მიიჩნევიან ნასამართლევ პირებად, ასევე იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და დღეის მდგომარეობით იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გაათავისუფლებს პირობითი მსჯავრის შემდგომი მოხდისაგან, მოუხსნის დამატებით სასჯელს (გარდა გადახდილი ჯარიმისა) და ნასამართლეობას.“<sup>29</sup>

აღნიშნული განცხადების შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციას ბევრმა ადამიანმა მიმართა, რამაც გამოიწვია მოქალაქეთა გრძელი რიგები. მოგვიანებით, პროცესის უკეთ ორგანიზებისთვის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოქალაქეთა სატელეფონო რეგისტრაცია დაიწყო.<sup>30</sup>

საგულისხმოა, რომ შეწყალების სავარაუდო სუბიექტთა რაოდენობის გათვალისწინებით, პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მის ხელთ არსებული მსგავსი სამართლებრივი ბერკეტის გამოყენება, შესაძლოა ქმნიდეს განცდას, რომ ეს ქმედება მიზნად ისახავს ამომრჩევლის გულის მოგებას და წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო მიზნით.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ფართომასშტაბიანი შეწყალება მკვეთრად ეწინააღმდეგება მის მიერ 2006 წლის 14 თებერვალს გამოცხადებულ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ამასთან, პრეზიდენტის მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში შეწყალების ფართომასშტაბიანი ინიციატივას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ, პრეზიდენტის პოლიტიკის ერთმნიშვნელოვნად შეცვლა ნასამართლობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის თაობაზე იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ინიციატივა ამომრჩევლებზე ზემოქმედებისა და მათი გულის მოგებისაკენ არის მიმართული.

### 6.2 გიორგი მარგველაშვილის კამპანია დაბა სტეფანწმინდაში

2013 წლის 16 აგვისტოს კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი ამომრჩეველთან შეხვედრაზე დაბა სტეფანწმინდაში იმყოფებოდა. მოგვიანებით, 21 აგვისტოს, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გავრცელა ინფორმაცია<sup>31</sup>, რომ გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას საჯარო მოხელე,

<sup>29</sup> იხ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება: <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases?p=8414&i=1>

<sup>30</sup> იხ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases?p=8416&i=1>

<sup>31</sup> იხ. სტატია: <http://bit.ly/16lUox5>

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი - მანანა მარსაგიშვილი, სამუშაო საათების დროს ესწრებოდა. „სამართლიანი არჩევნები“ ესაუბრა მანანა მარსაგიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ცილისწამებას, რადგან იგი სადილად იყო გასული და შესვენების პერიოდში შეხვედრაზე მცირე ხნით შეჩერდა, თუმცა, საქმეების სიმრავლის გამო, სამსახურში სწრაფადვე დაბრუნდა.

გვინდა ავლნიშნოთ, რომ 2013 წლის 27 ივლისს „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საჯარო მოხელეებს სამუშაო საათებში და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას აკრძალა წინასაარჩევნო კამპანიაში და აგიტაციაში მონაწილეობა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირინა იმერლიშვილიმა 2013 წლის 19 აგვისტოს კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე საჯარო მოხელეებს მოუწოდა,<sup>32</sup> რომ მაქსიმალურად შეიკავონ თავი, გამოვიდნენ შეხვედრებზე თუ გაწიონ აგიტაცია, ვინაიდან ეს საარჩევნო კოდექსის თანახმად იკრძალება.

---

<sup>32</sup> იხ. სტატია: <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/22683/>

## VII. ცესკოს საქმიანობა

### 7.1 ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი

საანგარიშო პერიოდში თანამდებობიდან გადადგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ზურაბ ხარატიშვილი<sup>33</sup>.

კანონმდებლობის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 15 დღის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირებთან კონსულტაციის შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს 3 კანდიდატურას წარუდგენს.

ცესკოს თავმჯდომარეს არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ცესკოში კოალიცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში მყოფი პარტიების მიერ დანიშნული წევრები ირჩევენ.

იმისათვის, რომ ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვალოს, საჭიროა კანდიდატმა მიიღოს 4 ან 4-ზე მეტი ხმა. თუ კანდიდატმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით იმავე კანდიდატებიდან 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს<sup>34</sup>.

საარჩევნო კანონმდებლობამ და არსებულმა პოლიტიკურმა ვითარების შექმნა გარემოება, როცა ახალი ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში არასამთავრობო სექტორი და ორი პოლიტიკური ძალა მონაწილეობს პრეზიდენტისა და ცესკოს მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების წევრების სახით, რაც მისასაღმებელი მოვლენაა. ამ ვითარებაში არჩევის შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარე ყველა დაინტერესებული მხარის მხრიდან უფრო მაღალი ნდობით ისარგებლებს, რასაც საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. არასამთავრობო სექტორმა პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარის ვაკანური ადგილის დასაკავებლად საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტმა კანდიდატურასთან დაკავშირებით წინასწარი არაოფიციალური თანხმობა განაცხადა.<sup>35</sup>

<sup>33</sup> იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება:

[http://www.cesko.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=12793](http://www.cesko.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=12793)

<sup>34</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 10.

<sup>35</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით: <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases?p=8424&i=1>



## 7.2 ცესკოს თავმჯდომარის განცხადება „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის სააერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებული წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე ანგარიშის თაობაზე

2013 წლის 10 აგვისტოს ცესკოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება<sup>36</sup> „სამართლიანი არჩევნების“ მიერ გამოქვეყნებულ წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე ანგარიშში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა მიმართ საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციის უფლების საკითხს. განცხადებაში ცესკოს თავმჯდომარემ მოუწოდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ნუ დააყენებენ თავიანთ შეფასებებს კონსტიტუციასა და სასამართლოზე მაღლა, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიუკერძოებლობას.

„სამართლიანი არჩევნები“ ეხმიანება ცესკოს ზემოაღნიშნულ განცხადებას და მიაჩნია, რომ იგი ხისტი და არაკორექტულია. შესაძლებელია ისიც ითქვას, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა სადამკვირვებლო ორგანიზაციის კრიტიკას ცესკო არასწორი ფორმით პასუხობს. ცესკოს განცხადებაში არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტები და იგი ძირითადად ორგანიზაციის დისკრედიტაციის ისახავს მიზნად.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის განცხადება იყო ხისტი, დაუსაბუთებელი და არგუმენტირებული მსჯელობის ნაცვლად, მიზნად ისახავდა სადამკვირვებლო ორგანიზაციის დისკრედიტაციას. მიგვაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის განცხადება არაკორექტულია და ხელს არ უწყობს სადამკვირვებლო ორგანიზაციისა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის თანამშრომლური გარემოს ჩამოყალიბებას.

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება როგორც ცესკოს, ასევე, სხვა დაინტერესებული პირების მხრიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საარჩევნო რეგისტრაციის უფლების საკითხზე არგუმენტირებულ მსჯელობას, რასაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს საარჩევნო პროცესებზე.

---

<sup>36</sup> იხ. ცესკოს თავმჯდომარის განცხადება: [http://www.cesko.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=12755](http://www.cesko.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=12755)

## VIII. უწყებათაშორისი კომისია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის, მათზე რეაგირებისა და შესაბამისი წინადადების შემუშავების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე დააკვირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა, თუმცა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის განხორციელებული ცვლილებებით, კომისიამ იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში გადაინაცვლა. განახლებული კომისია იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით გააგრძელებს საქმიანობას. უწყებათაშორისი კომისიის დებულების თანახმად, კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ, თუმცა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ამოწურვის შემდეგ, არანალებ კვირაში ერთხელ.<sup>37</sup>

2013 წლის 19 აგვისტოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით განახლებული უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კომისიის შეხვედრების ყოველი კვირის ორშაბათ დღეს ჩატარების შესახებ. კომისიამ, ასევე, კენჭი უყარა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, სხდომებზე პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენლის დასწრება იქნება შესაძლებელი.

„სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი დაესწრო უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომას და სხდომაზე განსახილველად შემდეგი პრობლემური საკითხები დააყენა:

1. კომისიის რეკომენდაციით ფართოდ განიმარტოს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტში არსებული ტერმინი „ორგანიზატორი“,<sup>38</sup> რათა არ მოხდეს მისი ვიწროდ ინტერპრეტირება და იმ პირთა წრის დავიწროვება, ვისაც შესაძლოა შეეხოს აკრძალვა;
2. კომისიის მიერ მოხდეს პრემიერ-მინისტრის მიერ 2013 წლის 11 აგვისტოს მომხდარი ინციდენტის შეფასება, კერძოდ, შეფასდეს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ „შუამთობის“ დღესასწაულზე ამომრჩევლისთვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი;
3. „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოუწოდა, ასევე, კომისიას შეისწავლოს ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ფონდი „ქართუს“ მიერ ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერის და ამ ქმედებაში ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების არსებობის საკითხი.<sup>39</sup>

<sup>37</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ: <http://bit.ly/1dR7U5F>

<sup>38</sup> საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონიძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად

<sup>39</sup> იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის პირველი ანგარიში: <http://www.isfed.ge/main/407/geo/>

4. ორგანიზაციამ მიმართა კომისიას, შეისწავლონ საჯარო მოხელეების საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებად დანიშვნის ფაქტების კანონიერება.<sup>40</sup>

კომისიას კონკრეტული რეკომენდაციები ამ დროისთვის არ შეუმუშავებია. „სამართლიანი არჩევნები“ იმედს გამოთქვამს, რომ უწყებათაშორისი კომისია შეისწავლის ორგანიზაციის მიერ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე დაყენებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

## IX. საჯარო შეხვედრები

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის 5 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 48 საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების ძირითად მიზანს კვლავაც ადგილობრივი ოფისების დაარსება, საუბნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესი, ადგილობრივი აქტივისტების მობილიზება, ამომრჩევლისათვის საკუთარი საარჩევნო პროგრამის გაცნობა წარმოადგენდა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 24 საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრებს სხვადასხვა ოლქში კოალიციაში შემავალი პარტიები ახორციელებენ. პარტიების შეხვედრის მთავარ მიზანს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატების შერჩევა და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკომპლექტება წარმოადგენდა. ამ მიზნით შეხვედრები გაიმართა გორში, ამბროლაურში, თერჯოლაში, ლაგოდეხში, ყვარელში, თელავში, ახმეტაში, ჩოხატაურში, ქობულეთში და ყაზბეგში გაიმართა.

“ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” 6 საჯარო შეხვედრა გამართა. პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე ამრჩევლებს ასპინძაში, მარეულში, ბოლნისში, სამტრედიიაში და წყალტუბოში გაიმართა.

„დემოკრატიული მოძრაობა - ნინო ბურძანაძე“ – 12 საჯარო შეხვედრა გამართა გორში, რუსთავში, მარნეულსა და შუახევში.

„ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობამ“ 4 საჯარო შეხვედრა გურჯაანში, თელავსა და გორში გამართა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ნესტან კირთაძემ ორი შეხვედრა გორსა და დუშეთში გამართა.

<sup>40</sup> იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის პირველი ანგარიში: <http://www.isfed.ge/main/407/geo/>

## X.მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაცია გაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით<sup>41</sup>, რაც პირველ რიგში პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაცია აკვირდება ყველა იმ პროცესს, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს საარჩევნო გარემოე, მათ შორის, დაკვირვება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც ძირითადად გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესისა და საქმიანობაზე დაკვირვებას;
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

---

<sup>41</sup> „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმელზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ყურდნობა და იზიარებს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას